

ასალუმობილთა რესპირატორული დისტრეს სინდრომი

კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია

(გაიდლაინი)

კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) „ახალშობილის რესპირატორული დისტრეს სინდრომი“ მიღებულია კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს 2008 წლის 5 ნოემბრის №1 სხდომაზე და დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 14 აპრილის № 147/ო ბრძანებით.

ახალშობილთა რესპირატორული დისტრეს სინდრომი

1. დეფინიცია, სინონიმები, ტერმინოლოგია:

დეფინიცია

რესპირატორული დისტრეს სინდრომი უპირატესად დღენაკლულ ბავშვთა პათოლოგიაა, რომელიც გამოწვეულია სურფაქტანტის დეფიციტით. ახასიათებს კლინიკურად – ტაქიპნოე, გულმკერდის რეტრაქცია, ციანოზი და ექსპირაციული ხმაური, ხოლო რენტგენოლოგიურად – ფიჭისებურ-მარცვლოვანი სურათი და ჰაეროვანი ბრონქოგრამა.

სინონიმი: ჰიალინური მემბრანის დაავადება.

ბაიფლანინი განკუთვნილია

⇒ სამედიცინო პერსონალისათვის, რომელიც მუშაობს ახალშობილთან, როგორც სამშობიარო სახლში, ისე სტაციონარში – ნეონატოლოგი, პედიატრი.

ბაიფლანინის სამიზნე ჯგუფი:

⇒ ახალშობილები, რომლებსაც აღენიშნებათ რესპირატორულ დისტრეს სინდრომი ან მისი განვითარების რისკი.

ბამოყენებული შემოკლებები:

- რდს – რესპირატორული დისტრეს სინდრომი;
- რდ – რესპირატორული დისტრესი;
- ბპდ – ბრონქოპულმონური დისპლაზია;
- PEEP (Positive end expiratory pressure) – დადებითი წნევა ამოსუნთქვის ბოლოს;
- CPAP (continiuos positive airway pressure) - მუდმივი დადებითი წნევა სასუნთქ გზებში;
- ფხვ – ფილტვის ხელოვნური ვენტილაცია;
- PIP (Peak inspiratory pressure) – ჩასუნთქვის პიკური წნევა;
- FiO₂ (Fraction of inspired oxygen) – ჩასუნთქული ჟანგბადის წილი;
- IMV (Intermittent Mandatory Ventilation) – მონაცვლეობითი იძულებითი ვენტილაცია;
- SIMV (Synchronous Intermittent Mandatory Ventilation) – სინქრონული მონაცვლეობითი იძულებითი ვენტილაცია;
- HFV (High-frequency oscillatory ventilation) – მაღალი სიხშირით ვენტილაცია.

2. ეპიდემიოლოგია

აშშ მონაცემებით ყოველწლიურად ვლინდება 40 000 - 60 000 რდს-ის შემთხვევა^{1,2}. რდს-ის სიხშირე დამოკიდებულია გესტაციურ ასაკზე. გესტაციის 28 კვირამდე დაბადებულ ახალშობილებში მისი სიხშირე დაახლოებით 60%, 28-34 კვირის დღენაკლებულში – 30%, ხოლო 34 კვირაზე მეტი გესტაციის ახალშობილებში - მხოლოდ 5% ³. რდს უფრო ხშირია დაბადების ძლიერ მცირე წონის ახალშობილებში, რაც უფრო მცირეა დაბადების წონა, მით მეტია რდს სიხშირე: 501-750გ – 86%, 751-1000გ – 79%, 1001-1250 – 48%, 1251-1500 – 27% ². რდს-ით გამოწვეული ლეტალობა შემცირდა 25000-დან (1960 წ) 831-მდე (2003 წ) და მისი ხვედრითი წილი ახალშობილთა სიკვდილობის სტრუქტურაში 4%-ს შეადგენს⁴. ნორვეგიაში დაავადების სიხშირე ყოველ 1000 ცოცხლადშობილზე შეადგენს 2.7-ს, ხოლო ლეტალობა 1,1-ს.

3. ეტიოპათოგენები 5-9:

რდს-ის ძირითადი გამომწვევი მიზეზებია სურფაქტანტის დეფიციტი და ფილტვის ქსოვილის უმწიფრობა.

სურფაქტანტი კომპლექსური ლიპოპროტეინია, რომელიც შედგება ლეციტინის, ფოსფატიდილგლიცეროლის, ქოლესტეროლის და 4 აპოპროტეინისგან (A,B,C,D). სურფაქტანტის სინთეზი და სეკრეცია იწყება გესტაციის 20-24 კვირაზე, ძლიერდება გესტაციური ასაკის მატებასთან ერთად და 36 კვირისთვის მაქსიმუმს აღწევს. მშობიარობის მომენტში მკვეთრად მატულობს მისი სინთეზი. ნაყოფის ჰიპოქსია, ასფიქსია, აციდოზი, ჰიპოთერმია და ჰიპოტენზია ამცირებს სურფაქტანტის სინთეზს. სურფაქტანტი ამოფენს ალვეოლების შიდა ზედაპირს, ამცირებს ზედაპირულ დაჭიმულობას, რითაც ხელს უშლის ფილტვის კოლაბირებას ამოსუნთქვის ბოლოს.

ვადაზე ადრე მშობიარობის დროს სურფაქტანტის დეფიციტის გამო ვითარდება ატელექტაზური უბნები, რომლებშიც მიმდინარეობს პერფუზია, თუმცა არ ხდება ვენტილაცია (ვენტილაცია-პერფუზიის ცდომა), რაც თავისთავად იწვევს ჰიპოქსემია-ჰიპოქსიას. მცირდება ფუნქციური ნარჩენი მოცულობა და ალვეოლური ვენტილაცია, იზრდება “მკვდარი” სივრცე, ქვეითდება ფილტვის ჭიმვადუნარიანობა, რაც საჭიროებს მაღალი წნევით ჩასუნთქვის აუცილებლობას დისტალური ატელექტაზების გასაშლელად. ჰიპოქსემია და სისტემური ჰიპოპერფუზია იწვევს ანაერობული მეტაბოლიზმის გაძლიერებას და ლაქტატ აციდოზის განვითარებას. ჰიპოქსემია, ჰიპერკაპნია და აციდოზი განაპირობებს ფილტვის სისხლძარღვების ვაზოკონსტრიქციას და მარჯვენა-მარცხენა შუნტის გაზრდას ოვალური ხვრელის ან ბოტალის სადინრის გზით. აღნიშნული თავისთავად იწვევს პულმონური სისხლის მიმოქცევის შემცირებას და სურფაქტანტის წარმომქნელი უჯრედების იშემიურ დაზიანებას. ეს უკანასკნელი სხვა ფაქტორებთან ერთად, როგორცაა ბარო/ვოლუმოტრამვა და მაღალი FiO_2 იწვევს ანთებითი ციტოკინების და ქემოკინების გამოყოფას, რაც აძლიერებს ენდო და ეპითელური უჯრედების დაზიანებას, მცირდება სურფაქტანტის სინთეზი და იზრდება ენდოთელიუმის განვლადობა, რასაც მოყვება ალვეოლებში პლაზმის ცილების გაჟონვა, სურფაქტანტის ინაქტივაცია, ალვეოლების ამომფენი ჰიალინური მემბრანების და ფილტვის შეშუპების განვითარება. აღნიშნულის გამო, ფილტვის ქსოვილი ნაკლებად ჭიმვადუნარიანი ხდება.

4. კლინიკური სიმპტომატიკა 59:

რღს-ის განვითარების რისკ-ფაქტორები:

- რღს-ს სიხშირე შედარებით მაღალია:
 - ⇒ დღენაკლებებში
 - ⇒ მამრობითი სქესის ახალშობილებში
 - ⇒ დიაბეტით დაავადებული დედების ახალშობილებში
 - ⇒ საკეისრო კვეთით დაბადებულ ახალშობილებში
 - ⇒ ტყუპების შემთხვევაში მეორე ტყუპისცალთან
 - ⇒ პერინატალური ასფიქსიის დროს
 - ⇒ რღს-ის ოჯახური ანამნეზის მქონე ახალშობილებში
 - ⇒ ქორიოამნიონიტის დროს
- სურფაქტანტის ნაკლებობა მეორადად შეიძლება განვითარდეს, თუ ვლინდება:
 - ⇒ ინტრა და პოსტნატალური ასფიქსია
 - ⇒ პულმონური ინფექცია
 - ⇒ პულმონური ჰემორაგია
 - ⇒ მეკონიუმის ასპირაციის სინდრომი
 - ⇒ ფილტვზე ჟანგბადის ტოქსიური მოქმედება ბარო- და ვოლუმტრაგმასთან ერთად

რღს-ის განვითარების რისკი მცირდება შემდეგ შემთხვევებში:

- ⇒ ანტენატალური სტეროიდების გამოყენება
- ⇒ ორსულობით გამოწვეული ან ქრონიკული ჰიპერტენზია
- ⇒ გახანგრძლივებული მშრალი პერიოდი (სანაყოფე წყლების დაღვრის შემდეგ)
- ⇒ გესტაციურ ასაკთან შედარებით მცირე წონა
- ⇒ ახალშობილთა ჰემოლიზური დაავადება
- ⇒ დედის მიერ ნარკოტიკების მოხმარება

კლინიკური სიმპტომები:

რესპირატორული დისტრესის ნიშნები უხშირესად ვლინდება დაბადებისთანავე ან რამდენიმე წუთში, იშვიათად პირველი საათების განმავლობაში (არა უგვიანეს 6 სთ-ისა). თუ რესპირატორული დისტრესის ნიშნები ვლინდება მოგვიანებით, სავარაუდოა სხვა პათოლოგიის არსებობა.

რესპირატორული დისტრესისათვის დამახასიათებელია შემდეგი ძირითადი კლინიკური ნიშნები:

- ⇒ ტაქიპნოე (>60-ზე 1 წუთის განმავლობაში) - კომპენსატორული რეაქცია შემცირებული სუნთქვის მოცულობის ფონზე წუთმოცულობის გასაზრდელად;
- ⇒ ექსპირაციული ხმიანობა (grunting) - წარმოიქმნება ამოსუნთქვის დროს ყიის ნაწილობრივი დახურვის გამო (ყია ვიწროვდება, რათა გაიზარდოს ფუნქციური ნარჩენი მოცულობა);
- ⇒ ნეკნთაშუა არეების და გულმკერდის ქვედა ნაწილის ჩადრეკა (რეტრაქცია), ცხვირის ნესტოების ვიბრაცია სუნთქვის დროს. რეტრაქცია

ვითარდება მაღალი ინტრაორაკალური წნევის შესაქმნელად ფილტვის ნაკლებად ჭიმვადი უბნების გაშლის მიზნით.

⇒ ცენტრალური ციანოზი

თუ ახალშობილს აღენიშნება 2 ან მეტი ზემოაღნიშნული ნიშანი მას აქვს რესპირატორული დისტრესი.

ღრმა დღენაკლულებს შეიძლება დამატებით განუვითარდეთ აპნოე და/ან ჰიპოთერმია.

ფილტვების აუსკულტაციით შესაძლებელია გამოხატული იყოს სველი ხიხინი ან შესუსტებული სუნთქვა.

რესპირატორული დისტრესის სიმძიმის შეფასება ტარდება დაუნსის შკალის მიხედვით. მოცემული შკალა გამოიყენება არა მხოლოდ რდს, არამედ სხვა გენეზით განპირობებული რესპირატორული დისტრესის შეფასების დროსაც.

რესპირატორული დისტრესის სიმძიმის კლინიკური შეფასება

J. Downes-ის და თანაავტორების მიხედვით

ქულა	სუნთქვის სიხშირე წთ-ში	ციანოზი	მკერდის ძვლის რეტრაქცია	ექსპირაციული ხმაური	ფილტვის აუსკულტაციური მონაცემები
0	<60	არ ვლინდება 21% O ₂ -ის ფონზე	არა	არა	პუერული სუნთქვა
1	60-80	იხსნება 40% O ₂ -ის ფონზე	ზომიერი	მოისმინება სტეტოსკოპით	სუნთქვა შეცვლილი ან შესუსტებულია
2	>80 ან აპნოე	საჭიროებს ოქსიგენოთერაპიას მაღალი კონცენტრაციის ჟანგბადით O ₂ ->40%	ძლიერი	მოისმინება მანძილიდან (სტეტოსკოპის გარეშე)	სუნთქვა ტარდება ცუდად

- 1-3 ქულა – მსუბუქი რესპირატორული დისტრესი (მინიმალური დისტრესი)
- 4-6 ქულა – საშუალო სიმძიმის რესპირატორული დისტრესი (ზომიერი დისტრესი)
- 7 ქულა და მეტი – მძიმე რესპირატორული დისტრესი

ჯანმოს მიერ მოწოდებულია რესპირატორული დისტრესის სიმძიმის შეფასების შემდეგი სქემა¹⁰:

სუნთქვის სიხშირე წუთში	გულმკერდის რეტრაქცია ან ექსპირაციული ხმიანობა	კლასიფიკაცია
> 90	გამოხატულია	მძიმე რდ
> 90	არ არის	საშუალო სიმძიმის რდ
60-90	გამოხატულია	საშუალო სიმძიმის რდ
60-90	არ არის	მსუბუქი

რდს-ის დროს მდგომარეობის დამძიმებასთან ერთად ძლიერდება ტაქიპნოე, ციანოზი, ვლინდება არტერიული წნევის დაქვეითება, ოლიგურია, ექპირაციული ხმიანობის შესუსტება სრულ გაქრობამდე.

48-72 საათისთვის პაციენტის მდგომარეობა უარესდება. ლეტალური გამოსავალი უხშირესად ვლინდება მე-2-7 დღეებში ინტერსტიციული ემფიზემის, პნევმოთორაქსის, ფილტვიდან სისხლდენის ან პარკუჭში სისხლჩაქცევის გამო. ბრონქოპულმონური დისპლაზიის ჩამოყალიბების შემთხვევაში სიკვდილი შეიძლება განვითარდეს რამდენიმე კვირის ან თვის შემდეგ.

გართულებები 5-9:

მწვავე გართულებები:

- **ჰაერის გაუნვა** – პნევმოთორაქსი, პნევმომედიასტინუმი, პნევმოპერიკარდიუმი, ინტერსტიციული ემფიზემა. ასეთ დროს ახალშობილის მდგომარეობა უეცრად მძიმდება, ვლინდება ჰიპოტენზია, აპნოე, ბრადიკარდია, სატურაციის უეცარი დაქვეითება, ჰიპოქსიისა და ჰიპერკაპნიის გაღრმავება, მეტაბოლური აციდოზი და შესაბამისი რენტგენოლოგიური სურათი;
- **ინფექცია:** ინფექციამ შეიძლება გაართულოს რდს-ის მიმდინარეობა. ინფექციის არსებობა საეჭვოა თუ არ არის კლინიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ან მდგომარეობა უეცრად მძიმდება, ვლინდება ლეიკოციტოზი, ფორმულის მარცხნივ გადახრით, ან თრომბოციტოპენია. ინვაზიური პროცედურების (ვენის პუნქცია, კათეტერიზაცია, რესპირატორული უზრუნველყოფა) და პოსტნატალურად სტეროიდების გამოყენება ზრდის სეპტიცემიის განვითარების რისკს;
- **ინტრაკრანიული სისხლჩაქცევა და პერივენტრიკულური ლეიკომალაცია:** ინტრავენტრიკულური სისხლჩაქცევა გვხვდება დღენაკლულ ახალშობილების 20-40%-ში, განსაკუთრებით ხშირია იმ ახალშობილებთან, რომლებიც საჭიროებენ მექანიკურ ვენტილაციას. საეჭვო შემთხვევაში საჭიროა ულტრასონოგრაფიული კვლევის ჩატარება;
- **ღია ბოტალის სადინარი გაზრდილი მარჯვენა-მარცხენა შუნტით:** შუნტმა შეიძლება გაართულოს რდს-ის მიმდინარეობა, განსაკუთრებით განმეორებითი სურფაქტანტული თერაპიის შემდეგ. ღია ბოტალის სადინარზე ეჭვი უნდა მივიტანოთ იმ ახალშობილებთან, რომელთა მდგომარეობა თავდაპირველი გაუმჯობესების შემდეგ გაუარესდა ან აღენიშნათ სისხლიანი სეკრეტი ტრაქეიდან. დიაგნოსტიკაში გვეხმარება შუილის არსებობა და მაღალი პულსური წნევა, თუმცა ეს ნიშნები ყოველთვის არ ვლინდება კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ ახალშობილებში. დიაგნოზის დადასტურება ხდება ექოკარდიოგრაფიული კვლევით. ბოტალის ღია სადინარის პერსისტირების დროს მიზანშეწონილია იბუპროფენით ან ინდომეტაცინით მკურნალობა, შესაძლებელია NO-ს (აზოტის ოქსიდი) გამოყენება პერსისტირებადი პულმონური ჰიპერტენზიის ან პულმონური ჰიპერტენზიული კრიზების სამკურნალოდ. სხვა შემთხვევაში NO-მ შეიძლება გაზარდოს მარცხენა მარჯვენა შუნტი და გააუარესოს ფილტვების პარენქიმული დაზიანება. რეფრაქტერულ შემთხვევაში მიმართავენ ქირურგიულ ჩარევას;
- **პულმონური სისხლდენა:** ხშირია დღენაკლულ ახალშობილებში, განსაკუთრებით სურფაქტანტით თერაპიის შემდეგ. ამ შემთხვევაში საჭიროა მართვითი სუნთქვის აპარატით ამოსუნთქვის ბოლოს დადებითი წნევის (PEEP)

შექმნა და ინტრატრაქეულად ეპინეფრინის გამოყენება. ზოგიერთ პაციენტებში პულმონური სისხლდენა ასოცირდება ღია ბოტალის სადინართან;

- **წყლულოვან-ნეკროზული ენტეროკოლიტი და/ან პერფორაცია:** აღნიშნული პათოლოგიის არსებობა შესაძლებელია, თუ ვლინდება გასტრო-ინტესტინური ტრაქტის დაზიანების კლინიკური და რენტგენოლოგიური ნიშნები. პერფორაცია ვლინდება კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ ახალშობილებში და ხშირად ასოცირდება ინდომეტაციით და სტეროიდებით მკურნალობასთან;
- **დღენაკლულთა აპნოე:** ხშირია უმწიფარ ახალშობილებში. შემთხვევათა სისშირე იზრდება სურფაქტანტული თერაპიის დროს. აპნოეს მართვა ხდება მეთილქსანტინების გამოყენებით (თეოფილინი, კოფეინი). რეფრაქტერულ შემთხვევაში საჭიროა სასუნთქ გზებში მუდმივი დადებითი წნევის (CPAP) შექმნა. უნდა გამოირიცხოს სეპტიცემიის, კრუნჩხვის, გასტროეზოფაგური რეფლუქსის და მეტაბოლური დარღვევების არსებობა.

ქრონიკული გართულებები:

- **ბრონქოპულმონური დისპლაზია (ბპდ):** ფილტვის ქრონიკული დაავადებაა, რომელიც ხშირად ასოცირდება მექანიკური ვენტილაციის დროს წნევის და ჟანგბადის კონცენტრაციის მაღალ მაჩვენებლებთან, ინფექციასთან, ანთებით პროცესთან და ვიტამინ A-ს დეფიციტთან. რაც უფრო მცირეა გესტაციური ასაკი, მით მეტია მისი განვითარების რისკი. პოსტნატალური სურფაქტანტული თერაპია, ვენტილაციის დამზოგველი რეჟიმი, ვიტამინ A-ს გამოყენება, სტეროიდების დაბალი დოზა და აზოტის ოქსიდის ინჰალაცია ამცირებს ამ პათოლოგიის განვითარების რისკს. ბრონქოპულმონური დისპლაზია ასოცირდება აგრეთვე გასტროეზოფაგურ რეფლუქსთან, აუხსნელ აპნოესთან და უეცარ სიკვდილთან;
- **დღენაკლულთა რეტინოპათია (რეტროლენტური ფიბროპლაზია):** თუ ახალშობილებში რდს-ით, რომელთაც უტარდებათ ოქსიგენოთერაპია ან ფხვ, $PaO_2 > 100$ მმHg რეტროლენტური ფიბროპლაზიის განვითარების რისკი მაღალია. PaO_2 -ის ზუსტი მონიტორინგი და მისი შენარჩუნება 50-70მმ Hg-ის დონეზე, აგრეთვე პულსოქსიმეტრიის გამოყენება ყველა დღენაკლულ ახალშობილთან უზრუნველყოფს ამ პათოლოგიის განვითარების პრევენციას. პათოლოგიის პროგრესირების შემთხვევაში გამოიყენება ლაზეროთერაპია ან კრიოთერაპია რეტინის ჩამოშლის და სიბრმავის პრევენციის მიზნით;
- **ნევროლოგიური დაზიანებები:** გამოვლინდება 10-70%-ში, სისშირე გესტაციური ასაკის უკუპროპორციულია და დამოკიდებულია ინტრაკრანიული დაზიანების ტიპზე, აგრეთვე ჰიპოქსიასა და ინფექციაზე. ხშირად ვლინდება სმენის და მხედველობის დარღვევები, მომავალში კი – სწავლის და ქცევის პრობლემები.

5. ღააკვადების დიაგნოზი 5-9:

რდს-ის პრე/პოსტნატალური დიაგნოსტიკა

დიაგნოზი ეფუძნება კლინიკურ სურათს (ტაქიპნოე, გულმკერდის რეტრაქცია, ციანოზი და ექსპირაციული ხმაური), რენტგენოლოგიურ (ფიჭისებურ-მარცვლოვანი სურათი და ჰაეროვანი ბრონქოგრამა) და ლაბორატორიულ მონაცემებს:

- სანაყოფე სითხეში სფინგომიელინ-ლეციტინის თანაფარდობის შესწავლა - თუ სანაყოფე სითხეში სფინგომიელინ-ლეციტინის თანაფარდობა 2 ის

ტოლია, რდს-ს განვითარების რისკი 2 %-ია, თუ < 2-ზე – 50%, ხოლო თუ < 1-ზე – 100%.

- ”ქაფის” ტესტი – ტარდება მშობიარობამდე ამნიოცენტეზით მიღებული ამნიონური სითხის და მშობიარობიდან 30 წთ-ში მიღებული კუჭის ასპირატის გამოყენებით – 0,5 მლ ამნიონურ სითხეს (ან კუჭის ასპირატს) 1სმ დიამეტრის სინჯარაში ამატებენ 0,5 მლ 95% ეთილის სპირტს, ანჯდრევენ 15წმ და ნახულობენ ტესტის შედეგს 15წთ-ში. ამ მიზნით სინჯარას ათავსებენ შავ ქაღალდზე და აფასებენ წარმოქმნილი ბუშტუკების რაოდენობას.
 1. ტესტი **შარჟოვითია**, თუ ზედაპირზე ბუშტუკები არ არის. ეს შედეგი მიუთითებს, რომ ახალშობილის ფილტვი უმწიფარია და ჰიალინური მემბრანის დაავადების განვითარების რისკი 60% -ს შეადგენს.
 2. ტესტი **ბარდამაშალია**, თუ ზედაპირზე ბუშტუკები არის, მაგრამ ისინი ვერ ფარავენ სითხის მთელს ზედაპირს. ეს შედეგი მიუთითებს, რომ ჰიალინური მემბრანის დაავადების განვითარების რისკი 20%-ს შეადგენს.
 3. ტესტი **დადებითია**, თუ ბუშტუკები ფარავს სითხის ზედაპირს. ეს შედეგი მიუთითებს, რომ ახალშობილის ფილტვი მომწიფებულია და ჰიალინური მემბრანის დაავადების განვითარების რისკი მხოლოდ 4%-ია.
- ჰიპოქსემია და ჰიპერკაპნია არტერიულ სისხლში.

დიფერენციული დიაგნოზი 5-9:

დიფერენციული დიაგნოზი უნდა გატარდეს ისეთ დაავადებებთან, როგორცაა:

- პნემომედიასტინუმი
- პნემონია
- პნემოთორაქსი
- ასპირაციული სინდრომი
- გასტროეზოფაგური რეფლუქსი
- ჰიპოგლიკემია
- ჰიპოთერმია
- კარდიოპულმონური შუნტი
- პოლიციტემია
- ახალშობილთა ტრანზიტორული ტაქიპნოე
- გულის მანკი ციანოზით
- ფილტვის არტერიის ჰიპერტენზია
- ადრეული სეფსისი

6. ბამოკვლევის სქემა 5-9

ლაბორატორიული კვლევები

- სისხლის აირების კვლევა კლინიკური ჩვენების მიხედვით ხდება ჭიპლარის არტერიიდან ან სხვა არტერიის პუნქციით. სისხლის აირების მონაცემები გამოავლენს რესპირატორულ და მეტაბოლურ აციდოზს და ჰიპოქსემიას.

ინსტრუმენტული კვლევა:

- გულმკერდის რენტგენოგრაფიაზე რდს-ის დროს ვლინდება ფიჭისებურ-მარცვლოვანი (ჭუჭყიანი მინის შესახედაობის) სურათი და ჰაეროვანი ბრონქოგრაფია ფილტვის არასრული გაშლით.
 - ⇒ ჰაეროვანი ბრონქოგრაფია წარმოადგენს ჰაერით გადაბერილი ბრონქოლოების ზედღებას კოლაბირებულ ალვეოლებზე;
 - ⇒ გულის ჩრდილი შეიძლება გადიდებული ან ნორმალური იყოს. კარდიომეგალია შეიძლება გამოიწვიოს პრენატალურმა ჰიპოქსიამ, დედის დიაბეტმა, ღია ბოტალის სადინარმა, თანდაყოლილმა მანკმა ან უბრალოდ ფილტვის არსრულმა გაშლამ;
 - ⇒ სურფაქტანტის ადრეულმა გამოყენებამ შეიძლება წაშალოს ტიპური რენტგენოლოგიური სურათი;
 - ⇒ ფილტვის რენტგენოლოგიური კვლევა ყოველთვის არ იძლევა რდს-ის და პნევმონიის ერთმანეთისაგან განსხვავების საშუალებას.

ახალშობილის მდგომარეობიდან გამომდინარე ხშირად საჭიროა დამატებითი ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევები:

- ექოკარდიოგრაფია - ღია ბოტალის სადინრის, გულის თანდაყოლილი მანკის გამოსარიცხად, გულის ფუნქციური მდგომარეობის შესაფასებლად და პულმონური ჰიპერტენზიის დასადგენად;
- ჰემოგრაფია, C რეაქტიული ცილა, სისხლის ბაქტერიოლოგიური კვლევა - ტარდება ინფექციაზე ეჭვის დროს;
- ნეიროსონოგრაფიული კვლევა, სისხლში ელექტროლიტების, ცილის, გლუკოზის დონის განსაზღვრა და სხვა.

7. მკურნალობის სქემა

მანიპულაციები

რესპირატორული დისტრეს სინდრომის დროს მკურნალობის სხვადასხვა ეტაპზე შეიძლება საჭირო გახდეს შემდეგი პროცედურებისა და მანიპულაციების ჩატარება

- სედაცია, ანალგეზია ან ანესთეზია;
- არტერიის და ვენის პუნქცია;
- ვენის (პერიფერიული/ცენტრალური) კათეტერიზაცია;
- ჭიპლარის არტერიის კათეტერიზაცია;
- ჭიპლარის ვენის კათეტერიზაცია;
- ტრაქეის ინტუბაცია ან ტრაქეოსტომია;
- ბრონქოსკოპია;
- თორაკოცენტეზი;

- კუჭის ზონდირება;
- სისხლის და სისხლის პრეპარატების ტრანსფუზია;
- შარდის ბუშტის პუნქცია და კათეტერიზაცია.

მართვის ძირითადი პრინციპები 5-9

რესპირატორული დისტრეს სინდრომის მკურნალობის ძირითადი პრინციპებია:

- ადეკვატური რეანიმაცია ბლოკში;
- სურფაქტანტით ჩანაცვლებითი თერაპია;
- ოქსიგენაცია და ვენტილაცია მუდმივი დადებითი წნევით სასუნთქ გზებში;
- ფილტვის ხელოვნური ვენტილაცია;
- სიმპტომური თერაპია.

• ადეკვატური რეანიმაცია

ნაადრევე მშობიარობას მიზანშეწონილია ესწრებოდეს ნეონატოლოგი და მედდა, რომლებიც პასუხისმგებელი არიან რეანიმაციული ღონისძიებების სრული სიფართოთ ჩატარებაზე, რადგან ამ ახალშობილებში ხშირია ადაპტაციის დარღვევა, რაც თავის მხრივ აფერხებს სურფაქტანტის პროდუქციას.

არაადეკვატური რეანიმაცია აუარესებს რდს-ის მიმდინარეობას და გამოსავალს **(რეკომენდაცია B)**¹².

B

არასაკმარისია მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ ყველა დღენაკლულს რუტინულად უნდა ჩაუტარდეს ტრაქეის ინტუბაცია **(რეკომენდაცია C)**¹².

C

პრაქტიკული თვალსაზრისით გამართლებულია 29 კვირაზე ნაკლები გესტაციის ყველა ახალშობილის ინტუბაცია **(რეკომენდაცია C)**¹².

C

• სურფაქტანტის ჩანაცვლების ჩვენება

ინტუბირებულ ახალშობილებს რდს-ით, რომლებიც საჭიროებენ ფხვ-ს მაღალი კონცენტრაციის ჟანგბადით ($FiO_2 > 0.40$) მიზანშეწონილია ჩაუტარდეთ სურფაქტანტით ჩანაცვლებითი თერაპია **(რეკომენდაცია A)**¹².

A

სურფაქტანტით ჩანაცვლებითი თერაპია საჭიროა იმ დღენაკლულებთან, რომელთაც აღენიშნებათ რდს-ის განვითარების მაღალი რისკი **(რეკომენდაცია A)**²²⁻²⁵.

A

• სურფაქტანტით ჩანაცვლებითი თერაპია

სურფაქტანტით ჩანაცვლებითი სამკურნალო და პროფილაქტიკური თერაპია აუმჯობესებს რდს-ის გამოსავალს და შესაბამისად ამცირებს ახალშობილთა სიკვდილობას **(მტკიცებულების დონე I)**¹³⁻¹⁸. სურფაქტანტით მკურნალობის დაწყების შემდეგ ბოლო ათწლეულის განმავლობაში რდს-ით გამოწვეული სიკვდილობა 50%-ით შემცირდა⁸.

I

სურფაქტანტით ჩანაცვლებითი თერაპიის დროს უმჯობესდება ოქსიგენაცია, მცირდება პნევმოთორაქსისა და ინტერსტიციული ემფიზემის განვითარების რისკი, ასევე მცირდება დამხმარე ვენტილაციის ხანგრძლივობა **(მტკიცებულების დონე I)**¹³.

I

სურფაქტანტით ჩანაცვლებითი თერაპია ამცირებს ბპდ განვითარებას და ფსიქომოტორული განვითარების შეფერხებას (მტკიცებულების დონე I)^{13,19-21}.

I

• **სურფაქტანტით ჩანაცვლებით თერაპიასთან დაკავშირებული რისკი**

სურფაქტანტის ჩანაცვლებისას უშუალოდ მედიკამენტის გამოყენების დროს ან მის შემდეგ ხანმოკლე პერიოდში შეიძლება განვითარდეს ბრადიკარდია, ჰიპოქსემია და საინტუბაციო მილის ბლოკირება²⁶. მოგვიანებით შეიძლება განვითარდეს ფილტვიდან სისხლდენა, თუმცა არ მატულობს ამ პათოლოგიით გამოწვეული ლეტალობა¹³.

• **ბუნებრივი თუ სინთეზური სურფაქტანტი?**

11 რანდომიზებული კვლევის მეტანალიზმა აჩვენა²⁷, რომ ბუნებრივი სურფაქტანტს ნაკლები გვერდითი ეფექტი და უკეთესი შედეგი აქვს ვიდრე ხელოვნურს. ბუნებრივი სურფაქტანტის გამოყენებისას ნაკლებად ვითარდება “ჰაერის გაჟონვის” სინდრომი და ბპდ, უმჯობესდება გამოსავალი (მტკიცებულების დონე I)¹³.

I

ამავე დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ის ფაქტი, რომ კვლევები ჩატარებულია ძველ სინთეზურ სურფაქტანტებზე. ახალ სინთეზურ სურფაქტანტებს (ლუკინაქტანტი ანუ სურფაქსინი) აქვთ განსხვავებული შემაღვენლობა, რაც ზრდის მათ ეფექტურობას.

2005 წლის მონაცემებით უპირატესობა ენიჭება ბუნებრივ სურფაქტანტს (რეკომენდაცია A)^{12,13}.

A

• **პროფილაქტიკური თუ სამკურნალო თერაპია**

გამომდინარე იქიდან, რომ სურფაქტანტი იცავს უმწიფარ ფილტვის ქსოვილს, ზოგი მკვლევარი რეკომენდაციას უწევს მის პროფილაქტიკურ გამოყენებას რეანიმაციის შემდეგ ღრმა უმწიფრობის შემთხვევაში (27 კვირაზე ნაკლები)¹³.

• **დოზირება, გამოყენების გზა**

სურფაქტანტის ჩანაცვლება უნდა ჩატარდეს სიცოცხლის პირველი 2 საათის განმავლობაში (მტკიცებულების დონე I)²⁸.

I

⇒ სურფაქტანტის რეკომენდებული დოზაა 25-200 მგ/კგ. PEEP რეჟიმითა (დადებითი წნევა ამოსუნთქვის ბოლოს) და დადებითი წნევით ადეკვატური ვენტილაციის (ფილტვის ამუშავების) შემდეგ ბოლუსურად სურფაქტანტის მიცემა განაპირობებს მის თანაბარ განაწილებას;

⇒ სურფაქტანტი უნდა შეთბეს ოთახის ტემპურამდე. საინტუბაციო მილში მისი შეყვანა ხდება მილში ჩადგმული ზონდით ან გვერდითი პორტიდან.

სურფაქტანტის განმეორებითი შეყვანა ხდება თუ პირველი დოზის გამოყენების შემდეგ ახალშობილი ვენტილაციისთვის საჭიროებს 30% ან მეტი კონცენტრაციის ჟანგბადს. განმეორებითი ინსტალაცია ტარდება I დოზის გამოყენებიდან არაუადრეს 2სთ-ისა, უმჯობესია 4-6სთ-იანი შუალედი. (რეკომენდაცია A)¹³.

A

თუ ახალშობილი სურფაქტანტის პირველი დოზის შეყვანის შემდეგ საჭიროებს ხელოვნურ ვენტილაციას 72სთ-ის განმავლობაში, მიზანშეწონილია სურფაქტანტის განმეორებითი გამოყენება.

A

სურფაქტანტის 2 დოზა უფრო ეფექტურია, ვიდრე ერთი (რეკომენდაცია **A**)^{13,29-31}. სურფაქტანტის 3 დოზაზე მეტი გამოყენება არ ცვლის გამოსავალს. (რეკომენდაცია **A**)¹³.

A

თუ პაციენტის მდგომარეობა მცირედ ან საერთოდ არ გაუმჯობესდა, დამატებითი დოზის გამოყენებამდე გამოსარიცხია ღია ბოტალის სადინარი, პნევმონია და ვენტილაციის გართულებები (ჰაერის გაჟონვა).

თუ ახალშობილს აღენიშნება რდს, იგი საჭიროებს რეფერალს მაღალი დონის კლინიკაში. ტრანსპორტირებამდე უნდა მოხდეს სურფაქტანტის I დოზის შეყვანა (რეკომენდაცია **A**)¹³.

A

ნაბისმიერ შემთხვევაში სურფაქტანტის დოზა და შეყვანის ტექნიკა უნდა შეესაბამებოდეს მწარმოებლის მიერ მოწოდებულ ინსტრუქციას.

• ოქსიგენაცია და CPAP (მუდმივი დადებითი წნევა სასუნთქ გზებში)

ჟანგბადი სამკურნალო საშუალებაა. ოქსიგენოთერაპიის დროს ჟანგბადის ჭარბი გამოყენებით გამოწვეული გართულებების პრევენციისთვის აუცილებელია მონიტორინგი და კონტროლი. ჟანგბადის ტოქსიური ზემოქმედება იწვევს ბპდ-ს და რეტინოპათიას (განსაკუთრებით ღრმა დღენაკლებებში). ოქსიგენოთერაპიის დროს მიზანშეწონილია არამარტო სატურაციის, არამედ **PaO₂** კონტროლი. ვინაიდან სატურაციის უმნიშვნელო შეცვლის დროსაც კი **PaO₂** შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს. ოქსიგენაციის პირობებში სასურველია შევინარჩუნოთ არტერიული აირების შემდეგი შემადგენლობა⁸¹:

- **PaO₂** 50-80 მმ ვწყ სვ,
- **SaO₂** 90-95%.

ოქსიგენოთერაპია და დამხმარე ვენტილაცია რდს-ს სიმძიმის შესაბამისად⁸¹

რდს სიმძიმე	ბესტაციური ასაკი	ჩარჩვის დონე
მინიმალური დისტრესი	დროული ახალშობილი	ჟანგბადის კარავი ან ნილაბი (Fi O ₂ – 0,5-0,6, ნაკადი 3ლ/წთ), შემდეგ ნაზალური CPAP
ზომიერი დისტრესი	დროული ახალშობილი	ნაზალური CPAP (Fi O ₂ – 0,6), შემდეგ ინტუბაცია/ვენტილაცია
მძიმე დისტრესი	ნებისმიერი ახალშობილი	ინტუბაცია/ვენტილაცია
ზომიერი/მძიმე დისტრესი	დღენაკლები	ინტუბაცია/ვენტილაცია

CPAP მეთოდი მნიშვნელოვნად ამცირებს რდს-ით გამოწვეულ სიკვდილობას. იგი რდს-ის მკურნალობის ერთ-ერთი მთავარი თერაპიული საშუალებაა.

ჩვენება

CPAP გამოიყენება ბავშვებში რდს-ით, რომელთა PaO_2 არის მუდმივად **7Kpa (50-60mmHg)**-ზე ნაკლები, მიუხედავად იმისა, რომ მიწოდებული O_2 -ის კონცენტრაცია **50-60%-ზე მეტია (რეპომენდაცია C)**¹².

CPAP ხელს უშლის ექსპირაციის ბოლოს ალვეოლების კოლაპირებას, რითაც ამცირებს მარჯვენა-მარცხენა შუნტს, ზრდის სუნთქვაში მონაწილე ფილტვის ზედაპირს და ფუნქციურ ნარჩენ მოცულობას.

CPAP-ის განხორციელება შეიძლება ენდოტრაქეული მილის, ნაზალური კანულის ან ნაზოფარინგული მილის საშუალებით. არსებობს **CPAP**-ის შემდეგი დონეები:

CPAP-ის დონე	წნევა	შპირატმსობა	ნაკლი
დაბალი	≤3 სმ წყ სვ	არ იწვევს ფილტვის დაზიანებას, არ ვითარდება ფილტვის ჰაერით გადავსება	შეიძლება არ იყოს საკმარისი ატმელექტაზის გასაშლელად
ზომიერი	4-7სმ წყ სვ	ატმელექტაზური უბნების ეფექტური გაშლა	არსებობს ჰაერის გაჟონვის სინდრომის განვითარების რისკი

7სმ წყ სვ მეტი წნევის გამოყენების შემთხვევაში მაღალია ბაროტრამის და ფილტვის ქრონიკული პათოლოგიის განვითარების რისკი.

CPAP გამოყენება მიზანშეწონილია რდს-ის მქონე დღენაკლულებში ექსტუბაციის შემდეგ, რათა თავიდან ავიცილოთ ატმელექტაზი და/ან აპნოე.

CPAP ის დროს დასაშვებია შემდეგი მაჩვენებლები:

- pH – 7.25-7.4-ის,
- PaO_2 – 50-70 mm Hg,
- PCO_2 – 40-65 mm Hg.

თუ ზომიერი **CPAP** -ის (5 სმ წყ სვ) გამოყენებისას არტერიული სისხლის აირების ნორმალური მაჩვენებლების შესანარჩუნებლად საჭიროა FiO_2 – 0,5-1 ან გამოსატულია მძიმე რესპირატორული დისტრესი, აუცილებელია ინტუბაცია და ფხვ.

• **ფილტვის ხელოვნური ვენტილაცია**

ფხვ რდს-ის მკურნალობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდს წარმოადგენს. ხშირად ფხვ-ს დაწყებამდე იყენებენ **CPAP** -ს.

ჩვენება

ხელოვნური ვენტილაცია უნდა დაიწყოს იმ შემთხვევაში, თუ (რეპომენდაცია C)¹².

- ⇒ $PaO_2 < 50$ მმ ვსწყ სვ, როდესაც $Fi O_2 > 0,5$ (განსაკუთრებით 32 კვირაზე ნაკლები გესტაციისას) და/ან
- ⇒ $PaCO_2 > 60$ მმ ვსწყ სვ,
- ⇒ $pH < 7,25$.

ფხვ-ს დაწყების კლინიკური კრიტერიუმებია:

- ⇒ აპნოე ბრადიკარდიასა და ციანოზთან ერთად, რომელსაც ახლავს დესატურაცია;
- ⇒ მკვეთრი ტაქიპნოე >70 , მძიმე რეტრაქციით;
- ⇒ გახანგრძლივებული მძიმე ბრადიკარდია, ჰიპოტონია, მკვეთრი სიფერმკრთალე და პერფუზიის დაქვეითება;
- ⇒ ციანოზი, რომელიც არ იხსნება ჟანგბადით მონოთერაპიისას.

ფხვ-ს მიზანი:

- ⇒ ადეკვატური ოქსიგენაციის და ვენტილაციის უზრუნველყოფა, სასუნთქი აპარატურის მაქსიმალურად დამზოგველი რეჟიმის გამოყენებით (რათა შემცირდეს ბაროტრამვა და ჟანგბადის ტოქსიური ეფექტი).

რანდომიზირებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ რდს-ის დროს მაღალი სიხშირის ვენტილაციის (HFV) გამოყენებისას ნაკლებია პნევმოთორაქსის განვითარების რისკი **(რეკომენდაცია B)**^{12,32}.

B

ახალშობილების ხელოვნური ვენტილაციის დროს მიორელაქსანტების რუტინული გამოყენება არ არის რეკომენდებული **(რეკომენდაცია A/B)**^{12,33}.

A/B

სინქრონული მონაცვლეობითი (intermittent) იძულებითი (mandatory) ვენტილაცია (SIMV) - რანდომიზებული კვლევების მიხედვით ასეთი რეჟიმით ვენტილაცია უმჯობესია ვიდრე სტანდარტული მონაცვლეობითი იძულებითი ვენტილაცია (IMV), რადგან მის დროს მცირეა ბრონქოპულმონური დისპლაზიის (ბპდ) სიხშირე, ინტუბაციის ხანგრძლივობა და ჟანგბადზე დამოკიდებულობა.

აპარატული სუნთქვის დაწყებამდე მიზანშეწონილია ახალშობილის ვენტილაცია ნიღბით, ტომრით და მანომეტრით, რაც საშუალებას იძლევა დადგინდეს ფხვ-ს საწყისი პარამეტრები (წნევა, სიხშირე), რომელიც საჭიროა ბავშვის ადეკვატური ვენტილაციისათვის. შესაძლებელია გამოყენებული იყოს შემდეგი საწყისი პარამეტრები:

SIMV ვენტილაციის საწყისი პარამეტრები	
	რდს
PIP	12-30 სმ H ₂ O
PEEP	3-5 სმ H ₂ O
სიხშირე	20-40 წთ
ჩასუნთქვა/ამოსუნთქვის შეფარდება	1:1 – 1:3
ჩასუნთქვის ხანგრძლივობა	0,5-0,72 წმ

ნაკადის სისწრაფე:
 დაბადების წონა < 1000 გ – 6-8 ლ/წთ
 დაბადების წონა > 1000 გ – 8-12 ლ/წთ

PIP-ის მაღალი მაჩვენებლების, განსაკუთრებით კი 30 სმ H₂O-ზე მეტი ჩასუნთქვის წნევის გამოყენების შემთხვევაში მკვეთრად იზრდება ბაროტრავმის განვითარების რისკი. 5სმ H₂O-ზე მეტი PEEP-ის გამოყენება აგრეთვე ზრდის გართულებების სიხშირეს.

სასურველია ფხვ-ს დროს გამოყენებული იყოს მინიმალური PIP, PEEP და საშუალო წნევა, ანუ დამზოგველი რეჟიმი, რომლის დროსაც შენარჩუნებულია სისხლის კლინიკურად მისაღები აიროვანი შემადგენლობა.

პარამეტრები შესაძლებელია შეიცვალოს ინდივიდუალურიად.

ფილტვის ხელოვნური ვენტილაციის დროს უნდა შეფასდეს:

- გულმკერდის ექსკურსია და თანაბარი სუნთქვითი ხმიანობის არსებობა;
- ვიტალური ფუნქციები – T, T/A, P, კანის ფერი, ნევროლოგიური სტატუსი;
- სატურაცია და არტერიული სისხლის აირები;
- გულმკერდის რენტგენოგრაფია:
 - ენდოტრაქეული მილის მდებარეობა
 - ფილტვის ქსოვილის გამჭვირვალობა (ემფიზემა, ატელექტაზი და სხვ)
 - გულის ზომები

სისხლის აირების მონიტორინგი ვენტილაციის დროს:

pH: თავიდან უნდა იყოს აცილებული pH დონის დაქვეითება 7.25-ზე ქვემოთ, რადგან ირღვევა უჯრედული მეტაბოლური აქტივობა (რეკომენდაცია C)¹². C

PaO₂: რეკომენდებული ზღვარია 6-10 კპა (45-70 mmHg). PaO₂-ის ქვედა ზღვარი განსაკუთრებით მძიმე რდს-ის მქონე ჩვილში შეიძლება იყოს კიდევ უფრო დაბალი (დაახლოებით 5.6 კპა - 40mmHg) (რეკომენდაცია C)¹². C

PaCO₂: რეკომენდებული მაჩვენებელია 40-65 mmHg. PaCO₂-ზე უფრო მნიშვნელოვანია pH-ის დონის შენარჩუნება 7.25-ზე მეტად. თუ არ არის სპეციფიური ჩვენება, PaCO₂ არ უნდა იყოს 5 კპა (37.5 mmHg)-ზე ნაკლები (რეკომენდაცია C)¹². C

თუ PaCO₂ მომატებულია (მიზეზი: ჰიპოვენტილაცია ან ვენტილაცია/პერფუზიის შეუსაბამობა) პნევმოთორაქსის, ატელექტაზის და ენდოტრაქეული მილის ობსტრუქციის გამორიცხვის შემდეგ მიზანშეწონილია:

- PIP - ის გაზრდა
- ჩასუნთქვის სიხშირის გაზრდა
- ნაკადის სისწრაფის გაზრდა (რაც ხორციელდება, ორივე ზემოთმოყვანილი მაჩვენებლის ცვლილებით)

თუ PaO₂ დაქვეითებულია (მიზეზი: ჰიპოვენტილაცია, დიფუზიის ბლოკი, ვენტილაცია/პერფუზიის შეუსაბამობა, შუნტი), მიზანშეწონილია რესპირატორის მაჩვენებლების შეცვლა:

- FiO_2 -ს გაზრდა (თუ მიზეზია ჰიპოვენტილაცია, დიფუზიის ბლოკი, ვენტილაცია/პერფუზიის შეუსაბამობა - მდგომარეობა უმჯობესდება).
- PEEP -ის გაზრდა (გასათვალისწინებელია, რომ 6 სმ H_2O -ზე მაღალმა PEEP -ის მაჩვენებელმა შეიძლება გამოიწვიოს ვენური უკუდინების დაქვეითება და ჰემოდინამიკის დარღვევა).
- ჩასუნთქვის დროის გაზრდა ხელს უწყობს ოქსიგენაციის გაუმჯობესებას.

ფხვ-ზე მყოფი პაციენტებისათვის აუცილებელია:

- არტერიული აირების კონტროლი
 - თუ პაციენტის მდგომარეობა არასტაბილურია და ხდება რესპირატორის პარამეტრების კორექცია, არტერიული აირები უნდა გაკონტროლდეს 15-30 წთ-ში ერთხელ ნორმალური მაჩვენებლის მიღებამდე. აიროვანი შემადგენლობის გაუარესების დროს უნდა შემოწმდეს მილის მდებარეობა, პაციენტის პოზიცია, გამორიცხოს გართულებები (მაგ.: პნევმოთორაქსი).
 - თუ პაციენტის მდგომარეობა სტაბილურია არტერიული აირები უნდა გაკონტროლდეს 4-6სთ-ში ერთხელ.
- ენდოტრაქეული მილის სანაცია რდს-ის მქონე ბავშვებში მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი, ის ტარდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც წარმოიქმნება სეკრეტი, ჩვეულებრივ სიცოცხლის 48 საათის შემდეგ (რეკომენდაცია C)¹².
- საინტუბაციო მილის სანაცია 8 სთ-ში (საჭიროებისას უფრო ხშირად).
- სატურაციის, ვიტალური ფუნქციების მონიტორინგი.

ექსტუბაცია შესაძლებელია თუ პაციენტი სპონტანური სუნთქვით ინარჩუნებს ნორმალურ წუთოვნიტილაციას და ოქსიგენაციას, აქვს ხველის რეფლექსი და სტაბილური ჰემოდინამიკა.

ვენტილატორიდან პაციენტის მოსხნა ხორციელდება პარამეტრების თანდათან დაქვეითებით – პირველად მცირდება ის პარამეტრი, რომელთანაც ასოცირდება ფილტვის დაზიანების შედარებით მაღალი რისკი⁸¹.

ექსტუბაციის შემდეგ შესაძლებელია CPAP-ის ან ჟანგბადის კარვის გამოყენება.

მაღალი სიხშირით ვენტილაცია (HFV) – მცირე მოცულობების ჩასუნთქვა მაღალი სიხშირით. თავდაპირველად ეს რეჟიმი შემუშავდა ჰაერის გაჟონვის სინდრომის სამკურნალოდ. ბევრმა კვლევამ აჩვენა, რომ მაღალი სიხშირით ვენტილაციით ხდება ფილტვის თანაბარი გაშლა, უმჯობესდება ფილტვის მექანიკა და გაზთა ცვლა, მცირდება ალვეოლის ექსუდაციური შეშუპება, ჰაერის გაჟონვა და ანთებითი პროცესი ფილტვებში. მაღალი სიხშირის ოსცილატორული ვენტილაციის ადრეულ გამოყენებას უპირატესობა ენიჭება სტანდარტულ რეჟიმებთან შედარებით. სხვადასხვა კლინიკურმა კვლევამ აჩვენა, რომ მაღალი სიხშირის ოსცილატორული ვენტილაციის პროფილაქტიკური გამოყენება ამცირებს ფილტვის ქრონიკული დაავადების განვითარების სიხშირეს. ჩვეულებრივ იგი გამოიყენება ტრადიციული ვენტილაციის უეფექტობის დროს, თუმცა ღრმა დღენაკლულებში შეიძლება გამოყენებული იყოს თერაპიის საწყის ეტაპზე (იხ. მაღალი სიხშირის ვენტილაციის პროტოკოლი).

მაღალი სიხშირის ვენტილაციის გამოყენების ჩვენებაა:

- ⇒ $PaO_2 < 50$ მმ ვსწყ სვ და/ან $PaCO_2 > 65$ მმ ვსწყ სვ, როდესაც $FiO_2 = 1,0$
- ⇒ ECMO-ს პოტენციური კანდიდატები.

აზოტის ოქსიდის ინჰალაცია (iNO) – გამოიყენება პულმონური ჰიპერტენზიის (კრიზის) სელექციური მკურნალობისთვის, ამცირებს მარჯვენა-მარცხენა ექტრაპულმონურ შუნტს ფილტვის სისხლძარღვების რეზისტენტობის დაქვეითების გზით.

ECMO –ექსტრაკორპორალური მემბრანული ოქსიგენაცია გამოიყენება რდს-ის უკიდურესად მძიმე შემთხვევაში. ამ დროს სისხლის ოქსიგენაცია მიმდინარეობს ორგანიზმის გარეთ სპეციალური აპარატის საშუალებით.

• **დამხმარე თერაპია**

⇒ **თერმული კონტროლი:** ჰიპოთერმია ზრდის უანგბადის მოხმარებას. მნიშვნელოვანია ჰიპოთერმიის პრევენცია მშობიარობის, რეანიმაციის, ტრანსპორტირების დროს. რდს-ის დროს მნიშვნელოვანია შევინარჩუნოთ თერმონეიტრალური გარემო, შესაძლებელია ორმაგი კედლების მქონე ინკუბატორის ან სხივური გამათბობლის გამოყენება.

⇒ **ანტიბიოტიკოთერაპია:** სექტიცემიაზე ეჭვის დროს უნდა გაკეთდეს სისხლის ბაქტერიოლოგიური კვლევა (კულტურა), ჰემოგრამა, ლეიკოციტური ფორმულა, C რეაქტიული ცილის რაოდენობრივი განსაზღვრა და დაწყებულ იქნას პენიცილინის და ამინოგლიკოზიდის ჯგუფის პრეპარატების კომბინაცია (ან ცეფალოსპორინი), სანამ მიღებული იქნება კულტურის პასუხი (ანტიბიოტიკის არჩევისას უნდა გათვალისწინებული იყოს შესაძლო ჰოსპიტალური შტამების არსებობა). ნეგატიური სისხლის კულტურის და რისკ-ფაქტორების არ არსებობის შემთხვევაში ანტიბიოტიკის მიცემა წყდება. ანტიბიოტიკოთერაპია გრძელდება დადებითი კულტურის შემთხვევაში ანტიბიოტიკებისადმი მგრძობიანობის შესაბამისად.

⇒ სითხის, მეტაბოლიზმის და კვების უზრუნველყოფა – საშუალო სიმძიმის და მძიმე რდს-ის დროს მიზანშეწონილია პარენტერული კვება. ენტერალურ კვებაზე (ნაზოგატრული ზონდით) პაციენტის გადაყვანა შესაძლებელია მისი მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ, როდესაც მას არ ესაჭიროება ფხვ. ძუძუთი კვების დაწყება რეკომენდებულია ოქსიგენოთერაპიის შეწყვეტის შემდეგ. მსუბუქი ხარისხის რდს-ს დროს ნაჩვენებია გამოწვევლილი დედის რძის მიწოდება ნაზოგასტრული ზონდით.¹⁰

ადეკვატური კვება: რ.დ.ს.-ის მკურნალობის მნიშვნელოვანი ნაწილია ადეკვატური კვების უზრუნველყოფა (**რეკომენდაცია C**)¹².



რდს-ის დროს მიზანშეწონილია სრული პარენტერული კვება, თუმცა პაციენტის მდგომარეობის სტაბილიზაციისა ან გაუმჯობესების შემდეგ დასაშვებია მინიმალური ენტერული კვებაც (**რეკომენდაცია C**)¹².



დედის რძე იცავს წყლულოვან - ნეკროზული ენტეროკოლიტისა სხვა გართულებებისგან და საუკეთესო საკვებია მინიმალური ენტერული კვებისთვის (**რეკომენდაცია B**)^{12,34}.



⇒ **ადეკვატური ცირკულაციის უზრუნველყოფა:** ამ მიზნით საჭიროა შესაბამისად გულისცემის სიხშირის, პერიფერიული პერფუზიის, არტერიული წნევის კონტროლი. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება სისხლის მოცულობის შემავსებლების, სისხლის კომპონენტების გადასხმა, ინოტროპები და ვაზოპრესორები.

წნევის გაზრდის მიზნით კრისტალოიდური ხსნარი (ფიზიოლოგიური ხსნარი) ისეთივე ეფექტურია, როგორც კოლოიდური (პლაზმა)^{12,35}.
(**რეკომენდაცია A**).

A

სისხლის წნევის გაზრდის მიზნით დოპამინი უფრო ეფექტურია, ვიდრე დობუტამინი³⁶⁻³⁷ (**რეკომენდაცია A**).

A

რდს-ის მქონე ბავშვებში პერფუზიის დაქვეითების შემთხვევაში მიზანშეწონილია არტერიული წნევის კონტროლი და ჰიპოტენზიის კორექცია (**რეკომენდაცია C**)¹².

C

სისხლის შემავსებლების რუტინული გამოყენება ზრდის ინტრაკრანიალური ჰემორაგიის განვითარების რისკსა და სიხშირეს³⁸⁻⁴⁰ (**რეკომენდაცია A**).

A

⇒ **ანემია:** საჭიროა ჰემოგრამის მონიტორინგი. ჰემოტრანსფუზიის ჩვენებაა მოციტოკულირე სისხლის მოცულობის 10%-ს დაკარგვა და/ ან ჰემატოკრიტი < 40-45%-ზე. ანემიის სამკურნალოდ გამოიყენება ერთროპოეტინები და რკინის პრეპარატები.

⇒ **ფიზიოთერაპია:** რდს-ის დროს რუტინული ფიზიოთერაპია არ არის რეკომენდებული (**რეკომენდაცია C**)¹².

C

⇒ **პოსტნატალური სტეროიდები:**

